

საქართველოს პარლამენტი განიხილავს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებს.

კანონპროექტის მიზანია ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ გამოყენებული შემზღუდავი ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდა, მსხვერპლთა დაცულობის ამაღლება და ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრება.

**კანონპროექტი, ინიციატორი**

**საკანონმდებლო ინიციატივა:** „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**ინიციატორი:** საქართველოს მთავრობა

**ავტორი:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

**კანონპროექტის ანონსი**

- ▶ მოძალადეზე, მსხვერპლის ან მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობით, დასაშვებია ხდება ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება. ელექტრონული ზედამხედველობით დადგინდება მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფება. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ არსებობს ძალადობის განმეორების რისკი;
- ▶ ელექტრონული ზედამხედველობის ოქმით გათვალისწინებული მოძალადისთვის აკრძალული ადგილების გარდა, ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე მოძალადისა და მსხვერპლის შემთხვევითი მიახლოებისას, სსიპ „112“-ის მოსამსახურე უფლებამოსილია დაუკავშირდეს მსხვერპლს/ მოძალადეს და მოსთხოვოს ტერიტორიის დატოვება მათი შემთხვევითი შეხვედრის თავიდან აცილების მიზნით. მოძალადის მიერ სსიპ „112“-ის მოსამსახურის მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა;
- ▶ მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისათვის განზრახ თავის არიდება ან ელექტრონული საშუალების ექსპლუატაციის წესის დარღვევისთვის განმეორებით მიღებული გაფრთხილების შეუსრულებლობა დაისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით 180 - 240 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ;
- ▶ იზრდება დამცავი ორდერის ვადა - 6 თვის ნაცვლად დამცავი ორდერის გამოცემა დასაშვებია ხდება 9 თვემდე ვადით;

**1. ოჯახის წევრები**

მოქმედი ნორმატივი	შემოთავაზებული ცვლილება
ოჯახის წევრი განიშარტება შემდეგნაირად - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდაჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.	ჩამონათვალს ემატება: <ul style="list-style-type: none"> <li>• მამინაცვალი,</li> <li>• შვილის მეუღლე (მათ შორის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი),</li> <li>• წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მხარდაჭერის მიმღები.</li> </ul>

**2. ელექტრონული ზედამხედველობის გეგმავი და მისი განხორციელების საშუალება**

მოქმედი ნორმატივი	შემოთავაზებული ცვლილება
მოქმედი რედაქცია ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმის გამოყენებას არ ითვალისწინებს.	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება<sup>1</sup> დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ მოძალადის მხრიდან არსებობს ძალადობის განმეორების რისკი.</li> <li>• მოძალადის მიმართ გამოცემული ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების ოქმი არაუგვიანეს 24 საათისა ნარედგინება სასამართლოს დასამტკიცებლად;</li> <li>• ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დაწესდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, ასევე ნებისმიერ დროს, შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში.</li> </ul>


**3. დამცავი ორდერის ვადა**

მოქმედი ნორმატივი	შემოთავაზებული ცვლილება
დამცავი ორდერის ვადა გამოცემა 6 თვის ვადით.	დამცავი ორდერის გამოცემა დასაშვებია ხდება 9 თვემდე ვადით.

**სტატისტიკური მონაცემები**

ოჯახში ძალადობის ფაქტაზე გამოცემული შიშაქვეყნული ორდერების <sup>2</sup> რაოდენობა <sup>3</sup>	
2016	3089
2017	4370
2018	7646
2019 (9 თვე)	7762
ოჯახში ძალადობის ფაქტაზე გამოცემული დამცავი ორდერების რაოდენობა <sup>4</sup>	
2016	179
2017	180
2018	139

**ხსენილი 2: ქალთა გვერდობის სტატისტიკა<sup>5</sup>**



**შეჯამება**

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” მიესალმება საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლის მიზანია ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ გამოყენებული შემზღუდავი ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდა, რაც წინგადადგმული ნაბიჯია განმეორებითი ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის.

წარმოდგენილი ინიციატივიდან პოზიტიურად უნდა შეფასდეს:

- ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობა ძალადობის ჩამდენი პირის მიმართ, თუ არსებობს ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე;
- მოძალადის მიერ შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან ელექტრონული ზედამხედველობისათვის განზრახ თავის არიდებისა ან ელექტრონული საშუალების ექსპლუატაციის წესის დარღვევისათვის სანქციების განსაზღვრა;
- დამცავი ორდერის ვადის 6 თვიდან 9 თვემდე გაზრდა;
- კანონის მიზნებიდან გამომდინარე ოჯახის წევრის დეფინიციის გაფართოვება.

1 ელექტრონული ზედამხედველობისათვის აუცილებელი მონაცემების ერთი ერთეული კომპლექტის ღირებულება არის 2820 აშშ დოლარი, ამასთან თითო მონაცემების მიმდინარე ხარჯი წარმოადგენს თვეში 10 ლარს. მოცემულ მომენტში შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილებაშია 100 ცალი ელექტრონული სამაჯური, 1000 ერთეულზე გათვლილი სერვერი და პროგრამა. დასახელებული ხარჯები 2020 წლის ჩათვლით დაფარულია UN WOMEN -ის მიერ, თუმცა, აუცილებელი იქნება მათი 2021 წლის და შემდგომ ბიუჯეტში გათვალისწინება.

2 დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ გადამხედველობის იღებს სასამართლო, ხოლო შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი.

3 ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების ყოველწლიური ზრდა ცალსახად არ უნდა იკითხებოდეს როგორც ამგვარი დანაშაულის სიხშირის მაჩვენებელი, ვინაიდან ბოლო წლებში გატარებულ რეფორმების ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო მსხვერპლთა მიმართ განხორციელების გაუმჯობესება.

4 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018, <https://bit.ly/37YBVC3>

5 იქვე.